სამშობლო. დედის ენაცვალოს, არ გაიცვლებიან სხვაზედა..

ჩიდილი

1991
შაბათი
16
თებერვალი
№ 20 (10413)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი და საბაზრო ეკონომიკა

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ახალი შესასყიდი ფასების შემოღების გამო

სოფლის მეურნეობის პროდუქციის და განსაკუთრებით ჩაის ნედლეულის ახალი შესასყიდი ფასების შემოღებასთან დაკავშირებით შემოდის მრავალრიცხოვანი შეკითხვები მოსახლეობიდან, რომელთაც აინტერესებთ თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მეჩაიეობიდან მიღებული შემოსავლების განაწილებაში.

პასუხი რომ გავცეთ ამ არცთუ უმნიშვნელო საკითხს, საჭიროა თავდაპირველად უფრო ღრმად ჩავიხედოთ და მოკლედ ავხსნათ თუ რამ გამოიწვია ფასების მომატება.

წამყვანი ეკონომისტების აზრით აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითად პირობად მიჩნეულია ფასწარმოქმნის მოქნილი სისტემის არსებობა. ცხადი გახდა, რომ უკანასკნელ წლებში დაირღვა წონასწორობა, როგორც წარმოების თვითღირებულებასა და შესასყიდ ფასებს შორის, ასევე შესასყიდ და საცალო ფასებს შორის, ვინაიდან ხასურსათო პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების განუწყვეტელი ზრდის მიუხედავად, ამ პროდუქციაზე ფასები იგივე რჩებოდა. სხვაობის შევსებას ახდენდნენ სახელმწიფო დოტაციის ხარჯზე. დანახარჯების ზრდა გამოწვეული იყო ძირითადად სამრეწველო პროდუქციის და მომსახურების ფასების და ტარიფების მომატებით, ცვლილებებით საფინანსო-საგადამხდელო სისტემაში და ა. შ. რაც საბოლოო ჯამში დაედო საფუძვლად შესასყიდი, საბითუმო და საცალო ფასების მოწესრიგებას. ამ ღონისძიების ავტორთა ჩანაფიქრით მან დადებითი გავლენა უნდა იქონიოს და უნდა უზრუნველყოს სოფელსა და ქალაქს შორის საქონლის ეკვივალენტური გაცვლა. თუმცა საეჭვოა, რომ ფასების ახლანდელი რეფორმა სწორი ვარიანტი იყოს ქვეყნის დაქცეული ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლისა, თუნდაც იმიტომ, რომ პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთის არსებობისა და ცენტრალიზებული ფასების პირობებში საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ ოცნებაა.

ახალი შესასყიდი ფასები მიმდინარე წლის 1 იანვრიდან შემოღებულია არა მარტო ჩაის ნედლეულზე, არამედ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციაზეც, როგორიცაა ხორცი, რძე, სოია, ეთერზეთები, აბრეშუმის პარკი და ა. შ.

ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის ახალი შესასყიდი ფასები დაწესებულია ტონაზე საშუალოდ 1705 მანეთი, მათ შორის პირველი ხარისხი 2080 მანეთი, მეორე ხარისხი 1330 მანეთი. ე. ი. ადრე მოქმედი შესასყიდი ფასი ტონაზე გაზრდილია საშუალოდ 526 მანეთით.

ამასთან დაკავშირებით ცხადია დაინტერესებულია ჩაის დარგში დასაქმებული მუშაკებიც თუ როგორი იქნება მათი შრომის ანაზღაურების პირობები. საქმეში ჩაუხედავ წრეებში გაისმის ხმები, რომ მეჩაიეთა შრომის ანაზღაურების ზრდა უნდა მოხდეს ჩაის ნედლეულის შესასყიდი ფასების ზრდის პროპორციულად. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული მსჯელობაა და სრულებით არ არის ასე, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შესასყიდი და საცალო ფასების ზრდა მოხდა და მასში განივთებულია ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობისათვის მიწოდებულ თუ მოსაწოდებელ სამრეწველო პროდუქციაზე ახალი ფასების დადგენასთან და მოსამსახურების ტარიფებთან. ზემოთ აღნიშნული უფრო გასაგები რომ იყოს, მარტო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე საცალო ფასები გაზრდილია 125 პროცენტით, საწვავ-საცხებ მასალებზე თითქმის ორჯერ, გაზრდილია მინერალური სასუქების შხამქიმიკატების. კომბინირებული საკვების ფასები და ა. შ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დამტკიცებულ სოფლის მეურნეობის ახალ შესასყიდ ფასებში შემოღებულია აქამდე მოქმედი დიფერენცირებული დანამატები, დანამატები სახელმწიფოსათვის წინა ხუთწლედში მიღწეული საშუალო დონის ზევით მიყიდული პროდუქციისათვის, აგრეთვე საბიუჯეტო სახსრები გამოყოფილი სოფლის მეურნეობის ხარწყავი და დამშრობი სისტემების შენახვისა და რემონტისათვის, კულტტექნიკური სამუშაოებისათვის. აღნიშნულ დანამატებს და ცენტრალიზებულ საბიუჯეტო სახსრებს კაპდაბანდების დასაფინანსებლად საზოგადოებრივი მეურნეობები მომავალში არ მიიღებენ.

გაიზარდა სახელმწიფო სავალდებულო გადასახდელების ოდენობაც. მაგალითად მოქალაქეთა პენსიებით და დახმარებებით უზრუნველყოფის ახალი კანონის შესაბამისად, სათანადო ხარჯების დაფინანსებისა და მოსახლეობაზე პენსიებისა და დახმარებების შეუფერხებლივ გაცემის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის 1990 წლის 10 დეკემბრის დადგენილებით მიმდინარე წლის 1-იანვრიდან დაწესებულია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების ახალი ტარიფები. სადაზღვევო შენატანების დარიცხვა ხდება ხელფასის მთლიან თანხაზე 26 პროცენტის ოდენობით, ნაცვლად ადრე არსებული კოლმეურნეობებში 2,4 პროცენტისა და საბჭოთა მეურნეობებში 4,4 პროცენტისა.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გაიზარდა ასევე ბანკის კრედიტების პროცენტი და მოხდა გაფასებების ინდექსაცია მშენებლობის ხაზითაც, ცხადია თუ რამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების მომატება და ახალი შესასყიდი ფასების დაწესება.

იმის გამო, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის დარგებიდან მეჩაიეობის ხვედრითი წილი შემოსავლების 90 პროცენტამდეა, რა თქმა უნდა ზემოთ აღნიშნული დამატებითი ხარჯების კომპენსაცია მოხდება ძირითადად ამ დარგიდან მიღებული შემოსავლებიდან. ახალი შესასყიდი ფასების შედეგად ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის რეალიზაციიდან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიმდინარე წელს მიიღებენ ფულად ამონაგებს წინა წელთან შედარებით 35,2 მილიონი მანეთით მეტს. აქედან დამატებითი ხარჯების კომპენსაციას უნდა მოხმარდეს 32 მილიონ მანეთამდე. თუ შევინარჩუნებთ დარგის გასული წლის რენტაბელობის დონეს შესაძლებელი ხდება შრომის ანაზღაურების ფონდის რეგულირებაც, იმ მიზნით, რომ მან არსებითი გავლენა მოახდინოს მეჩაიეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების საქმეშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს მიერ რეკომენდაცია მიეცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1991 წელს გამოიყენონ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფაზე დასაქმებული მუშაკების შრომის ანაზღაურების ნორმატიული მეთოდით გაანგარიშებისათვის ახალი სატარიფო განაკვეთები. მოსავლის ხელით აღების პირობებში იგი შეადგენს პროდუქციისათვის დანამატის ჩათვლით ყოველი ცენტნერი პირველი ხარისხის კრეფისათვის 60 მანეთს, მეორე ხარისხის კრეფისათვის 40 მანეთს.

მობილური მანქანებით კრეფის პირობებში ყოველ ცენტნერ პირველ ხარისხზე 15 მანეთს, მეორე ხარისხზე 9 მანეთს. ხელის აპარატებით კრეფის პირობებში ყოველ ცენტნერ პირველ ხარისხზე 50 მანეთს, მეორე ხარისხზე 30 მანეთს.

რა თქმა უნდა ზემოთ აღნიშნული შრომის ანაზღაურების პირობებში რეკომენდაციების ხასიათს ატარებს და იგი გამომდინარეობს თვითეული მეურნეობის და მთლიანად რაიონის ეკონომიკის ნორმალური განვითარების მოთხოვნებიდან. იგი შეიძლება შეიცვალოს მოცემულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმის მიხედვით, თუ როგორ ამაღლდება მექანიზაციის დონე მეჩაიეობაში, იმის მიხედვით თუ რა ღონისძიებები გატარდება არასაწარმოო ხარჯების, მათ შორის, მართვის მრავალრიცხოვანი აპარატის შესამცირებლად, იმ მიზნით რომ გამონთავისუფლებული ხარჯები მიმართულ იქნას უშუალოდ როგორც ჩაის, ასევე სხვა დარგებში დასაქმებული მუშაკების მატერიალური სტიმულირებისათვის. ყველა სხვა შემთხვევაში საქმე გვაქვს შრომის ნაყოფიერების დაცემასთან, პროდუქციის თვითღირებულების აშკარა გაძვირებასთან და მოგების (რენტაბელობის) შემცირებასთან, დარგში მიღწეული რენტაბელობის დონის დაქვეითება კი დღევანდელ ეტაპზე დაუშვებლად მიგვაჩნია. თუნდაც იმიტომ, რომ რესპუბლიკის ისედაც დეფიციტიანი ბიუჯეტი ჩაის დარგიდან მნიშვნელოვან შევსებას ელის. ბიუჯეტში კოლმეურნეობები რიცხავენ მოგებიდან 35 პროცენტს, ხოლო საბჭოთა მეურნეობები 45 პროცენტს. აბსოლუტურ ციფრებში რომ წარმოვიდგინოთ—კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რესპუბლიკის ბიუჯეტს მიმდინარე წელს უნდა მისცენ დაახლოებით 12 მილიონი მანეთი, ანუ წინა წელთან შედარებით 10 მილიონი მანეთით მეტი. ამიტომ ამ გადასახადის ოდენობის დადგენა კონკრეტული პირობების გათვალისწინებით მოითხოვს ძალიან მოფიქრებულ და ზომიერ მიდგომას, რომ არ დაზარალდეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და მეორე მხრივ, ხელოვნურად არ შემცირდეს რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლები თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეურნეობის რენტაბელობის დონის დაქვეითება თავისთავად გამოიწვევს გაფართოებული კვლავწარმოების მოშლას და სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას დიდ ზიანს მიაყენებს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სპეციალისტებისა და და ფართო მასების მონაწილეობით დეტალურად იქნას განხილული სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის ახალი სისტემა და მეურნეობის შემოსავალ-გასავლის სწორი ანალიზის საფუძველზე უმოკლეს დროში შემუშავებული და მიღებულ იქნას მთლიანად მეურნეობისა და მისი ქვედანაყოფების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1991 წლის რეალური პროგრამა.

თამაზ ცირამუა.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ და საქალაქო-საარჩევნო კომისიებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ წევრთა სიიდან

ზუგდიდის

თავმჯდომარის მოადგილე—
ფანგანი დავით — ინგლისური ენის სპეციალისტი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი

წევრები

აკობია ნატო კაკოს ასული— იურისკონსულტი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი

კიტია ზვიად ჯუმბერის ძე— დროებით უმუშევარი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება

ნაჭყებია ოთარ ლუდუკის ძე— ზუგდიდის გაზის და ნავთობის სამმართველოს ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სახალხო ფრონტი.

სოსელია იოსებ დავითის ძე— პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი, საქართველოს მწერალთმოქმედთა კავშირი

თავისუფალი პრესა - თავისუფალი საზოგადოების საფუძველი

დღეს არავისთვის სადაო არ არის ის ფაქტი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პრაქტიკულად ფლობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ქმედით ბერკეტებს. თავისუფალი პრესის დემოკრატიული საკანონმდებლო გარანტიები თანდათან საფუძველი ხდება თავისუფალი, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა. უკვე არსებობს პრესის შესახებ კანონის პროექტი. ხვალ და ზეგ იგი საბოლოო კანონის სახით ჩამოყალიბდება, რასაც რესპუბლიკის ჟურნალისტები განუზომელი ინტერესით მიესალმებიან. მკითხველებს უდიდ დაინტერესებს ის ფაქტი, რომ შექმნილია და მუშაობას შეუდგა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ამუშავებს აღნიშნული პროექტის ალტერნატიულ ვარიანტს.

გაზეთი „ვესტნიკ გრუზიი" ამა წლის 5 თებერვლის ნომერში ბეჭდავს საუბარს საინიციატივო ჯგუფის წევრთან გიორგი ლაპიაშვილთან, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას— „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის".

ვაქვეყნებთ ამ საუბრის შემოკლებულ ვარიანტს;

საუბარი მეტად დელიკატურ საკითხზე

—რა მდგომარეობაა დღეისათვის თქვენს ჯგუფში?

—დღეისათვის ჩვენ შევქმენით პროექტის 14 სტატია. დიდი მოცულობის სამუშაოების გამო ჩვენ ვითხოვთ კანონპროექტის განხილვის ვადის გადაწევას ორი კვირით. საქართველოს უზენაესი საბჭოს კულტურისა და განათლების კომისიამ მოიწონა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული ვარიანტი, უფრო სწორად, მისი ნაწილი და დაგვპირდა, რომ სრულყოფის შემდეგ გამოაქვეყნებდა მას.

უნდა ავღნიშნოთ, რომ თავისუფლების მაქსიმუმზე ხრუხვისას, ჩვენ გავზარდეთ კიდეც იმ მოთხოვნების რიცხვი, რომლებიც თავს იჩენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეგისტრაციისას. ვფიქრობთ, რომ სამართლებრივად განმტკიცებული დებულებები მოგვცემენ იმის საშუალებას, რომ მომავალში გამოირიცხოს ყოველსაგარი დაძაბებითი შეზღუდვები, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ის. ამ მხრივ უნდა მივანიშნოთ მე-5 სტატიაზე. ჩვენ მას ასე ვუწოდეთ: „ინფორმაცია, რომლის დაბეჭდვა დაუშვებელია". ეს გახლავთ იმ კონკრეტული მოთხოვნების ჩამონათვალი, რომელიც უკვე კანონში გამოკვეთს „აკრძალულ თემებს" და არ დაუშვებს პრეზიდენტს ჟურნალისტების საქმიანობაში.

—რას გვეტყოდით ჟურნალისტის უფლებათა შესახებ?

—ჩვენს პირობებში გამომცემელთან, რედაქტორთან ჟურნალისტის ურთიერთდამოკიდებულების მთელი კომპლექსის განსაზღვრა ერთობ რთულია. დასავლეთში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანოს მფლობელი იურიდიულთან ერთად შეიძლება იყოს ფიზიკური პიროვნება. ამისათვის აუცილებელია მთავრობას წარუდგინო შესაბამისი დეკლარაცია. გარკვეული ცვლილებების გარეშე ცალკეული დებულებების გადმოტანა ჩვენ**ეულ** კანონმდებლობაში „ნონსენსი" იქნებოდა. ვთქვათ, პროექტში ჩაწერილია, რომ ჟურნალისტს ეძლევა უფლება არ შეასრულოს რედაქტორის მიერ მიცემული დავალება, რომელიც მის პოზიციას ეწინააღმდეგება. ჯერ ერთი, გაგაჩნდეს საკუთარი პოზიცია,— ეს არა მხოლოდ ჟურნალისტის, არამედ ნებისმიერი მოქალაქის უფლებაა. ჩვენს პირობებში ასეთი საკანონმდებლო სტატია იმის გამართლება იქნებოდა, რომ მუშაკმა არ იმუშაოს, უსაქმოდ იყოს. საქმე იმაშია, რომ იქ, დამფუძნებელი ძალზე ფრთხილად შეარჩევს ხოლმე თავის გამოძცემელს—რედაქტორს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ მოიწვევს იმ ჟურნალისტებს, რომლებიც თანახმა იქნებიან განსაზღვრულ პირობებში მუშაობისა. ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება იმის აუცილებლობაც, რომ ვილაპარაკოთ მფლობელის და მისი მოღვაწეობის კრიტიკის უფლებაზე. როგორც წესი, იკრიბება თანამოაზრეთა კოლექტივი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კანონში პლურალიზმის შესახებ სპეციალური თავის შეტანით ქართველ ჟურნალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა თავისუფლად განსაზღვრონ საკუთარი არჩევანი ამ თვალსაზრისით.

ძველი ლექსიკონი ზუგდიდის შესახებ

საჯარო ბიბლიოთეკაში სხვადასხვა წყაროებზე მუშაობისას ქალაქ პეტერბურგში 125 წლის წინათ გამოცემულ ერთ ძალზე საინტერესო წიგნს, გეოგრაფიულ-სტატისტიკური ლექსიკონის მეორე ტომს წავაწყდი. ეს წიგნი დღეს ძალზე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ წიგნი დიდი ხნის წინაა გამოცემული, ამასთან არც ტირაჟია სოლიდური. ასე რომ ეს წიგნი ყველა ზუგდიდელისათვის არ არის ხელმისაწვდომი.

მერე და რა მოხდა, ნუ იქნება ხელმისაწვდომი. თქვენ, მოსკოველ კაცს, რა გრჯითო, შეიძლება შემეკითხოს ზუგდიდელი მკითხველი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთ დროს მე ზუგდიდში მიცხოვრია და ვიცი, თუ როგორ არიან დაინტერესებული ზუგდიდელები თავისი კუთხის ისტორიით, მისი წარსულით. მე თავს უფლებას მივცემ თქვენი გაზეთის მეშვეობით გავაცნო ზუგდიდელ მკითხველს თუ რა დაიბეჭდა 125 წლის წინათ ქალაქ პეტერბურგში გამოცემულ ლექსიკონში.

—ზუგდიდი, —წერს ავტორი, —ქუთაისის გუბერნიაში ზემავალი სამეგრელოს ერთ-ერთი ძველი ქალაქია. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 273 ფუტის (ერთი ფუტი 30,5 სანტიმეტრია) სიმაღლეზე. მოსახლეობის რაოდენობა 800 სულს არ აღემატება.

წერილის ავტორი თვლის, რომ ქალაქის სახელწოდება ზუგდიდი მომდინარეობს სიტყვა „ზურგ-დიდ იდან". არ ვიცი, რამდენად შეეს საბამება სინამდვილეს, მაგრამ მასვე ეჩვენება, რომ ზურგ-დიდის სახელწოდებით ქალაქის მახლობლად უნდა იყოს პატარა გორაკი—ბორცვი.

შემდეგ წერილში მოცემულ[illegible] ზუგდიდის ისტორიის მოკლ[illegible] აღწერილობა. ლექსიკონის შე[illegible] გენელი მოგვითხრობს: ზუგდ[illegible] დასაბამიდან იყო სამეგრელ[illegible] მთავრების საზამთრო რეზიდ[illegible]ციაო. 1855 წელს ზუგდიდი მ[illegible] ასთან იქნა გასწორებული. გა[illegible]წვეს სახახლე. ბაღიც. მაგრ[illegible] ეს ყველაფერი კვლავ იქნა აღ[illegible] გენილი.

მთელს ამიერკავკასიაში ზუ[illegible] დიდის ბაღის მსგავსი არსებ[illegible] არაფერი არ არის, აქ გაშენებ[illegible]ლია საუკეთესო ჯიშის ვენახ[illegible] ხეხილი, ხარობს ზეთისხილ[illegible] ხეებიც.

1850 წელს ზუგდიდში ფრანგ[illegible] როზმორდიუკმა მეაბრეშუმეობ[illegible] მოკიდა ხელი. გახსნა აბრეშუმ[illegible] ძაფსახვევი პირველი საწარმო[illegible] 1852 წელს ზუგდიდში დამზადებ[illegible]ბულ იქნა 50 ფუთი აბრეშუმ[illegible] პარკი.

შემდეგ წერილში აღნიშნულია, რომ ქალაქიდან 7 კილომეტრის[illegible] მოშორებით, მდინარე ენგურის[illegible] პირას აღმართულია მრავალსაფ[illegible]ტეული რუხის ციხე, რომლისგან[illegible] დღეს მხოლოდ ნანგრევებია[illegible] შემორჩენილი.

ამ ციხის მახლობლად მიმდ[illegible]ნარეობდა ბრძოლები იმერეთ[illegible] მეფე სოლომონსა და სამეგრელ[illegible]ოს მთავარ კაცია დადიანს შორის.

დასასრულ გვაუწყებს ლექსიკონი, რომ 1862 წელს ზუგდიდ[illegible]ში გაიხსნა სკოლა, 1863 წელს ამ[illegible] სკოლაში უკვე სწავლობდა 55 მოსწავლე. მათ შორის ექვსი თავადის შთამომავლობისა იყო, ხოლო 29 კი აზნაურის წრიდან. სტატიის ბოლოს მითითებულია ის ლიტერატურა, რომლითაც ისარგებლა ამ წერილის შემდგენელმა.

ანატოლი ივანოვი,
მოსკოვი. მარშალ უსტინოვის ქუჩა № 16, ოთახი 442.

რაც ერთხელ ცხოვლად სულს ღაარჩენებს. . .

ჩვენს მღელვარე დროში, როცა ძველი, ყავლგასული ცნებების და ღირებულებების მკაცრი გადაფასება ხდება, ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს სასკოლო ცხოვრების სისტემა. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დემოკრატიზაცია იმასაც ნიშნავს, რომ მოზარდმა სკოლის კედლებში კმოვოს საკუთარი ინტერესებისა და მიდრეკილებების რეალიზაციის პირობები, შეძლოს თვითგამოხატვა. ოფიციალური სტატუსით მოქმედმა პირველადმა ორგანიზაციებმა რა სიკეთეც მოუტანეს ჩვენს ახალგაზრდობას, ყველასათვის გასაგებია. ეს იყო ფაქტიურად მათი იდეოლოგიური უნიფიცირების, დაშტამპვის შორს გამიზნული ხერხი, რამაც ძნელად გამოსასწორებელი ზიანი მიაყენა მთელი თაობების ცნობიერებას, არცერთ პოლიტიკურ პარტიას, თუ ორგანიზაციას არა აქვს უფლება თავისი იდეური პრინციპები თავს მოახვიოს ეროვნულ სკოლას. იგი უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ცნობიერების გამდიდრებას ეროვნული და ზოგადადამიანური ფასეულობებით, დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპებით.

სწორედ პრობლემათა ამდაგვარი ხედვა უნდა დაედოს საძირკვლად მოსწავლეთა ყოველსაგარ თვითინიციატივას ამათუიმ ფორმით. მოსაწონია ამ მხრივ სხვადასხვა წრეების და კლუბების ჩამოყალიბება ქალაქისა და რაიონის რიგ მოწინავე სკოლებში, სადაც ქალიშვილები და ჭაბუკები გარკვეული მიდრეკილებების მიხედვით ერთიანდებიან. ბუნებრივია, ბავშვებს ერთნაირად იზიდავთ ხელოვნების სამყაროში ხეტიალი, თუ ზუსტი, გამოთვლითი მეცნიერების საფუძვლების ზიარება. მათ უზომოდ იტაცებთ როგორც ბიოლოგიის თანამედროვე მიღწევები, ისე თანამედროვე რიტმები, პლასტიკა, მოძრაობა.

ქართულმა ეროვნულმა სკოლამ ადისობრივად ახალი გზები და სადინარი უნდა გაუჭრას მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. მომავალი ეროვნული გვარდიისთვის მათი სულიერი და ფიზიკური მომზადება დიახაც რომ საშური საქმეა. იმედია, ჩვენი სახალხო ფრონტის ნოვატორი მუშაკები გამონახავენ მეომრული და სპორტული სიჩაუქის სინთეზირების ხელსაყრელ ფორმებს, სადაც ტრადიციული ქართული სათამაშო ელემენტები მიზნობრივად შეერწყმება გვარდიული წრთობის მეთოდებს.

დიდი რუსი პედაგოგი სუხომლინსკი შეახსენებდა მასწავლებლებს, ყოველ მოზარდში პიროვნება დაინახეთო. ამ შეუვალ თეზას დღევანდელი ქართული სკოლის წარმომადგენლები ფეხშეუცვლელად უნდა მისდევდნენ. ეს პრინციპი თუ შეილახა, ფუჭ ოცნებად დარჩება ყველა იმ საკითხის ხორცშესხმა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. თუკი მცირეოდენ გადაცდომაზე არასრულწლოვანს ძნელადაღსაზრდელის იარლიყი მივაკერეთ, არაფერი არ გამოგვივა.

ისევ სუხომლინსკის მოკიშვილიებთ. თავისუფალ დროს მოსწავლეები ყვავილების საკრეფად, საბანაოდ მიყავდა, ბუნების წიაღში აწყობდა სხვადასხვა საქმიან თამაშებს. ალბათ ეს გზაც სწორი და მისაღებია, როგორც ერთერთი ფორმა. ნუ გამოვკეტავთ ბავშვებს კლასკაბინეტებში. რომელი ლექციაა-საუბარი შეედრება მურმანროგავას საოჯახო ზოოპარკში მოსწავლეთა კოლექტიურ გაყვანას? თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციით ჩვენ ვაგრძელებთ საკლასო ოთახში წამოწყებულ საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც მოზარდის სულის ძერწვა ჰქვია.

ამასწინათ გაზეთში დაიბეჭდა პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის მოგონება ილია ჭავჭავაძეზე: საგურამოში ვიყავით დიდ მწერალთანო, ილია და მამაჩემი მასლაათობენ. უცბად ოთახში გაჩნდა ხუთი წლის ჩემი ძმა გიორგი და ილიას საწერ მაგიდასთან რაღაცის ძებნა დაიწყო. ილიამ ჰკითხა, რას ეძებო.—იმ კალამს, რომლითაც თქვენ დაწერეთ „ტყემ მოისხა ფოთოლი",—უპასუხა პატარამ. ახლავე მოგცემ იმ კალამსო, თქვა ილიამ და ჩემს ძმას თავზე ხელი გადაუსვა.

—მე კალამი რათ მინდა, მე მომანქანე ვიქნებიო!—„კატეგორიული" ტონით მიუგო ჩემმა ძმამ.

ხუთი წლის გიორგი ნიკოლაძემ იცოდა, ვინ უნდა გამოსულიყო. აი, ბედნიერებაა, როცა პედაგოგი და მშობელი ამდაგვარ ალღოს გამოიჩენენ და თავის დროზე, პატარაობისას მიუჩენენ მოზარდს იმ გზას, რომელსაც სპეციალისტების ენაზე პროფესიული ორიენტაცია ჰქვია.

ჯ. თელია.

ეს დღეები სოფლად

გაპიროვნებულ ჰექტარებზე

ბონდო ჩუხუამ სპეციალური განათლების მიღების შემდეგ, ბარაზენის მეურნეობაში ავროტექნიკოსად დაიწყო მუშაობა. ბოლო წლებში მან ახალსოფლის კოლმეურნეობაში გაიპიროვნა ერთი ჰექტარი ჩაისა და ერთი ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია. გაპიროვნებულ პლანტაციებში ვადაზე ადრე დაამთავრა საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები.

ბონდო და ლორა ყოველ სეზონში ტონობით ჩაისა და მანდარინს აბარებენ სახელმწიფოს, ამასთან სახელოვნად ზრდიან შვილებს. მათ კარგად ესმით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი დიდადაა დამოკიდებული თითოეული მეურნის ბეჯით შრომაზე.

ი. ვადაჭარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1975 წელს გამოქვეყნდა ეროვნული მოძრაობის ლიდერის, ერის საყვარელი შვილის, ეროვნული სპორტის აღდგენა-განვითარებისა და ადგილობრივი ჯიშის ცხენების მოშენების, მათი სოფლის მეურნეობისა და ეროვნული სპორტის სამსახურში ჩაყენების ენთუზიასტის მერაბ კოსტავას პუბლიკაცია.

ცხენი

რა შეედრება ჯიშიანი, ნაკვთად კეთილი ბედაურების ჭვრეტას, დიდრონი, ჭკვიანი, მიმდინარი თვალები, მაღალი, მწყობრი, ჰაეროვანი წვივები, ამაყად აზიდული, მასიური მკერდი, მოღერილი კისრის მტკიცე ბალავერი, მჭიდროდ შეტკეცილი, კუთთა ზამბარებში მომწყვდეული მუცელი, სისხლძარღვების მოუსვენარი ტოკვა მოელვარე კანქვეშ, თითქოს ცალური გულმოდგინებით ვარცხნილი ფაფარი, ავდრის მოლოდინი დგომისა... კეთილაბალი ალიოგეული კეხეიანობა. ქაო�ططლის აფრქვევადი სუსტოეანი და ლაგამის აკვესტავი, გაალაბასებული კიბეები, ისისლის ალიკოლებელი ოსტეეი ფეხთა ბისა, ფლოვეეანდან ავარდნილი მტვრისა და ბაერწკლია კორიანტელი...

და ბოლოს, ამ თავაუყვეტელი ხმაურის გაძღედხავი და დაბალადგეული ფოლადის ელი... აი, ლიოსადძისაიეევი ბიზენი ეესტანისა და აღფრთოვანების.

ბზოლოდ გრძნობაგაძრუდებულ ადამიანს არ ძალუძს შეგრძნეა ამ მოკარბებული მშვეიერეობისა და კეთილმოილებისა, ცხენს ოდ აქვს. საუბედუროდ ასეთ სილამაზეს დღეს იშვიათად თუ დალანდავს კაცი. ჩვენს სოფლებსა და დაბებში ბედაურთა ჯაჯანეთაც თითქმის აღარსად არის. რამდენიმე წლის წინათ ფილმ „დიდოსტატის მარჯვენის“ გადაღებისას მთელს საქართველოში ვერ მოუყარეს თავი იატალური სცენებისათვის საჭირო ოდენობას ცხენებისა...

ოდითგანვე ცნობილია ადამიანის უსაზღვრო გატაცება ცხენებით. ცხენი პოეტების უსაყვარლესი ცხოველი იყო. იგი პოეზიის ასპარეზსაც ამშვენებდა, ოადგან საგმირო საქმენი პოეტების შთაგონების წყაროს წარმოადგენენ. ვინ არ აღუფრთოვანებია აქილევსის თუ ტაოიელის ლაგამისმკვნეტელ ტაიკთა თუ სხვა ბედაურთა საქებარ მგზნებარე სტროფებს პოეზიაში. მაგრამ არც მითები დარჩენილან ვალში. წარმოდგენას მუდამ ატყვევებდნენ ოქროს ეტლის მზიდველი მერნები ჰელიოსისა თუ პერსეუსისა. მაგრამ მითი და პოეზია არასოდეს განდრეკილა პრაქტიკისაგან, ამიტომ ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ რაოდენ ესათუთებოდათ ცხენები გამოჩენილ მხედართმთავრებს. ამგვარი პატივისგების მწვერვალია ალექსანდრე მაკედონელის მიერ ინდოეთში აგებული ქალაქი საყვარელი მერანის, „ბუცეფალის“ უკვდავსაყოფად. ცხენი მრავალი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების ნაწილს შეადგენდა, ხშირად ცოცხალი ადამიანივით პერსოფიცირებულს მათს ბიოგრაფიაში. ამაოდ როდი იშვა მოქანდაკეთა წრეში ტრადიცია დიდი ქალაქის ფუძემდებელთა ამხედრებულად წარმოჩენისა, და ეს შემთხვევითი როდია, არა თუ ქალაქების, თვით ერებისა და კულტურების ფუძემდებელნი და ამაგდარნი გამოჩენილი მხედრები ყოფილან ხშირად.

საქართველო უხსოვარი დროიდან მხედრების ქვეყანაც იყო. იგი ამასთან ერთად კეთილშობილი პირუტყვის აპოლოგიით არის ცნობილი. ძველთა განვე აქ მრავლად ყოფილან მეცხენეობის დიდოსტატები, მეცნიერნი და ჯიშთა გამომყვანნი. ლრმა ცოდნაზე დაფუძნებით იწერებოდა ძვირფასი კარაბადინები ცხენისა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქ ითესებოდა საგანგებო ჯიძის ბალახეული ცხენისათვის. ნიკო მარის თქმით, ძაღლის კულტის ადგილად საქართველოში ცხენის კულტი დომინირებდა. საქვეყნოდ ყოფილა გახთქმული კოლხური ჯიძის ძაღლტანიანი ცხენი, ოოელიც საძწყაროდ უაძთასვლაძი გადაძენებულა.

ცხენისა და ცხენოსნობის კულტისათვის ივეხში მთელი ოიგი ისტორიული ფაქტები ლაღადეგეს. ტაუილუფოოალოდ ოოდი დაუდგეს ოოთაელეიმა ქანდაკეა ოომში მარსის ბოედანზე, ცხენზე ამხედრებული საქართველოს ეფეფ ფარსმანს (მეორე საუკუნის მეორე ნახევარი), რომელიც თავისი აძალითურთ კეისართან სტუმრად იმყოფებოდა. განა ადვილი იყო ცხენოსნობითა და ვაუკაცობით ეგოდენი აღფრთოვანება იმგვარი ქვეყნის ძვილებისა, რომელთა სამხედრო ოლიერეა იმუამად მთელს მსოფლიოს შიშის ზარს ჰგვრიდა! თუნდაც ძეორე მოსახსენებელად ღირსი ამბავი: სხვა ქვეყნის ბკვიდრთაგან მარტოოდენ ქართველებს ჰქონიათ ეერუსალიმში ცხენზე ამხედრებულად შესვლის უფლება და ეს ტრადიცია შემდგომშიც დიდხანს გრძელდებოდა (ივანე ჯავასიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“). საქართველოს სამეფო კარზე მთელი ინსტიტუტი აოსებობდა მეცხენეობისა, მეჯინიბეთუხუცესი მეფისა უაღრესად პატივსაცემ პირად ირიცხებოდა. თითოეულ სათავადოს საკუთარი ჯიშის ცხენები ჰყოლია თურმე. არსებობდა ბაგრატოვანთ, ამილახვრიანთ, წერეთლიანთ ცხენები და ა. შ. მაგალითად წერეთლიანთ ცხენები მთლად ოქროსფერნი უნდა ყოფილიყვნენ, თოვლივით თეთრი კავშებით. ასევე გამორჩეული ფერისანი და აღნაგობისანი იყვნენ სხვა სადროშოთა ბედაურები.

ეს ძალუმი სიყვარული ცხენებისადმი, გარდასული დროის ხელოვანთ და მხედართ რომ ჰქონდათ, ასეთივე გზნებით აისახა ჩვენს შედარებით გვიანდელ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. გავიხსენოთ ბედის საზღვარს გადაცილებული „მერანი“ ბარათაშვილისა, ბრწყინვალე სტროფები ვაჟას პოემებიდან და კონსტანტინე გამსახურდიას რომანებიდან, გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და „ეფემერა“, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები „ალავერდობა“ და „თვირთვილა“, ბასილ მელიქიშვილის მინიატურა „ქვრი ანა“, ელგუჯა ამაშუკელის ვახტანგ გორგასალი და მერაბ ბერძენიშვილის გიორგი საკაძე, ლადო გუდიაშვილის ზოგიერთი სამუშაო... და სამწუხაროდ, ასეთი ძველიერი და ვაუკაცური ყარსულის ყოფნა ძიოუტყვი ჩვენს თვალწინ ქრება.

ცხენთა ჯიშების დაკნინება უკვე ეეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაწყებულა. „სადღა არიან ის კარგი ბედაურები, ბასაჩემის დროში რომ მინახავს ჩვენს საჯინიბოში, უკითხავს ერთხელ საქართველოს უკანასკელ მეფეს, გიორგი მეცამეტეს ერთი მეჯინიბისათვის. მეჯინიბეს უპასუხია: „მაშინ ოომ იყვნეს, ის კარგი ვაუკაცები შესხდნენ იმ კარგ ბედაურებზე და მათთან ერთად გადაიზვეწნენო“.

ამუაღად მექანიზებული ტრანსპორტისა და გამწევი ძალის ეპოქაა, საცხენოსნო და საურმე გზების სამანქანო და სარკინიგზო მაგისტრალებით შეცვლამ კატასტროფულად დაამცრო დანიძნულება ცხენისა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცხადია, დღეისათვის ადარავინ ისურვებს ცხენით გამგზაკრებას მოსკოვში, ან თუნდაც აქვე, დასავლეთ საქართველოში. ამას დღეები, კვირეები, თვეები დასჭირდება და ამუამად ასეთი მოცალეობა არავისა აქვს. მაგრამ მოკლე მანძილზე. ბარში და განსაკუთრებით მთაგორიან ძნელადმავალ ადგილებში, ცხენი დღესაც შეუცვლელია. ამიტომ ცხენთა ოდენობის ასეთი საგანგაშო კლება სავსებით გაუმართლებელია.

აი ფრიად დამაღონებელი სტატისტიკა, რომელიც ზოოვეტერინალური ინსტიტუტის პროფესორმა, მეცხენეობის საუკეთესო სპეციალისტმა დავით ქობალავამ მომაწოდა: ამ ოცი წლის წინათ საქართველოში ას ოცი ათასი სული ცხენი ყოფილა. ამუამად კი მხოლოდ ორმოცდაოთხი ათას რვაასი სულია. სულადობის კლების სტატისტიკა ბოლო რვაწლეულში ასეთია: 1968 წ.—63100 სული, 1969 წ. —61300 სული, 1970 წ. 56000 სული, 1971 წ.—52548 სული, 1972 წ. —48500 სული, 1973 წ. 46660 სული, 1974 წ. —44867 სული. გამოდის, რომ საქართველოში ყოველწლიურად ცხენების რაოდენობა 2500 სულით კლებულობს. თუ ასე გაგრძელდა 17-18 წელიწადში ერთი სულიც აღარ დარჩება. საკვალალო მდგომარეობაშია ცხენების გამრავლების საქმე. ყოველ ას დედა ცხენზე ყოველწლიურად თერთმეტ კვიცს დებულობენ. ნორმალურ პირობებში კი უნდა მიიღონ სამოცდაათი.

სამი ცხენსაშენიდან დაიხურა ორი. გაუქმდა სახელმწიფო საჯინიბო (ომამდე) საკოლმეურნეო მეცხენეობის ფერმები კახეთსა და დასავლეთ საქართველოში. საგრძნობლად შემცირდა ცხენების რაოდენობა ოჯახებშიც.

განა მარტოოდენ პრაქტიკულ-უტილიტარული დანიშნულებისათვის აშენებდნენ ადამიანები ცხენებს? რად უნდა გადახვეწილიყვნენ ისინი ავტომანქანების მომრავლებისთანავე? ნუ იფიქრებთ ტექნიკის საწინააღმდეგო აროპაგანდას ვეწეოდე. ცხადია, გვერდს ვერ აუვლი იმას, რაც დროის სულმა მოიტანა, მაგრამ როგორ დავიეუჩოთ ტკივილის გრძნობა, როცა საქართველოს უმეტესი რაიონების (განსაკუთრებით ბარის) მოვლისას ველარ ვტკბებით ამ მშვენიერი, მართლაცდა ვაუკაცური სანახაობით, მხედრებისა ან ცალკე ბედაურების ცქერით (აქ იპოდრომებზე როდი ვსაუბრობთ, არამედ სოფლებზე, გლეხკაცთა სამოსახლოებზე), გულისტკივილის გრძნობა სამართლიანი რისხვით იცვლება, როდესაც ცხენის გაუჩინარების ერთ-მეორეულ ავიზეზსაც ვგებულობთ. თურმე ნუ იტყვით და ბას ბემდეგ, რაც საქართველოში მელიეების ფერმები მოამენეს, მრავალი ცხენი მელიების გამოსაკვებად განადგურდა. ასე, რომ უკეთილშობილესი და ადამიანის უერთგულესი მეგობარი ცხიერთა ჯილაგს შეეწირა. ღმერთმა ნუ გვაფიქრებინოს, რომ ჩვენს ხალხს გამოუნელდა ვაუკაცური სულისკვეთება და სილამაზის ჭეშმარიტი შეგრძნება. ამგვარ საქმეთა მიზეზად ჩვენივე დაუდევრობა და არასწორი ინსტრუქციები უნდა მივიჩნიოთ. ეჭვი მაინც არ გასვენებს, როდესაც ხედავ, რომ ჩვენი გლეხკაცობა, ათელი ჩვენი ინტელიგენცია მარტოოდენ უტყვი მოწმის როლში აღმოჩნდა და წინ აღარ აღუდგა ამ აღმაშფოთებელ ამბავს. განა ცხენებს გაუჭირდებოდათ არსებობა მანქანების გვერდით? განა უროგო იქნებოდა, თუნდაც მიმწუხრისას გაჯირითება ბუნების წიაღში? ჯანსაღი ემოციისა და მშვენიერების შეგრძნება ამ კეთილშობილ შრომისაგან დამაშვრალ გლეხკაცებს კი არა ქალაქელებსაც არ აწყენდათ ამგვარი დასვენება. განა ასე არ იქცევიან ამუამადაც ევროპელები ბულონისა და ვენის ტყეებში, ინგლისურ პარკებში? საუბედუროდ. დღეს აოც დოღები იმართება ისეთი მასშტაბით, როგორითაც უწინ, აღარც ამ ვაუკაცური სპორტის გულშემატკივრები მოიძებნებიან იმგვარი ოდენობით, როგორიც ფეხბურთსა და სპორტის სხვა სახეობებს ჰყავთ.

მოდით ავმაღლდეთ პრაქტიციზმზე!

კვლავაც ფართოდ დავნერგოთ ჩვენში ყველა დროის უმშვენიერესი პირუტყვის, ოდითგანვე რაინდთა უერთგულესი მეგობრის ცხენის კულტურა.

ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის საზოგადოება, ეროვნული სპორტის აღდგენა-განვითარებისა და მეგრული ჯიშის ცხენსაშენის გახსნის ენთუზიასტები იმედის თვალით შევყურებთ ზუგდიდის ხელმძღვანელობას და გვჯერა, რომ ისინი ახლო მომავალში შეუსრულებენ ოცნებას ადგილობრივი ჯიშის ცხენების მოშენების მოტრფიალეს, რომლისთვის ყოველი ეროვნული ძვირფასი იყო. შორს არ არის ის დროც, როცა მერაბ კოსტავას საპატივცემლოდ ჩვენს რაიონში გაიხსნება მისი სახელობის მეგრული ჯიშის ცხენსაშენი.

თ. ცანავა, რ. ფიფია, კ. თოდუა.
მერაბ კოსტავას სახოგადოების წევრები.
გ. ჭეჭია, რ. მაჭაცარია,
მეგრული ჯიშის ცხენსაშენის ინიციატორები, საქართველოს სპორტის ოსტატები.

ეკონომია კარგია, მაგრამ...

ელექტროენერგიის ხარჯვის ეკონომია კარგია, მაგრამ ელექტროსადგურის მუშაკებმა სინათლის ჩართვის და გამორთვის გრაფიკი ისე უნდა შეადგინონ, რომ იგი ხელს უწყობდეს ხალხთა კეთილდღეობას, რაც არ არის მოწესრიგებული.

გაზეთ „ოდიშის“ 2 თებერვლის ნომერში „საქმთავარენერგოს“ ზუგდიდის საწარმოო უბნის უფროსი გ. ჭითაშვილი გვპირდებოდა, რომ მომხმარებლებს ელექტროენერგია მიეწოდებოდა რვასაათიანი ინტერვალით დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდებში, განსაკუთრებით ტელევიზიის პროგრამების მუშაობის პერიოდში. აქედან გამომდინარე ცხადია, ყველა მოვხმარებელს რვიდან თორმეტ საათამდე არ ექნება უწყვეტი ენერგია...

მრავალზროვანი წინადადებები აბნევს მოსახლეობას. ყველაფერს საერთო სიტუაციებს ნუ დავაბრალებთ...

ს. მესხია,
პენსიონერი პედაგოგი.

დაფასებული

დიდ სამამულო ომში ერთად ვიბრძოდით მე და ზუგდიდელი გრიგოლ შურღაია.

ასეულის მეთაური გამოირჩეოდა როგორც საზრიანი, სამხედრო საქმის ზედმიწევნით მცოდნე. მე ოცეულის მეთაური გახლდით, ომის მძიმე გზა იოლი რიდი იყო, ვინ აღწერს იმ სიძნელეებს რაც ჩვენ გადავვხდა. იგი მთავრობის ჯილდოებით დაბრუნდა შინ და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა, დღესაც იგი ახალგაზრდობის ერთგული დამრიგებელია.

ი. ვადაჭარია.

ვადიმ ბაკატინი: ვილაც-ვილაცეებს მე ხელს ვუშლიდი

ერთნი ამბობენ, თითქოს ჩემი გადადგომა დაწინაურებას ნიშნავდეს, ხოლო მეორენი მას დაქვეითებად თვლიან. მე მიმიწვია პრეზიდენტმა და მითხრა, რომ უნდა წავსულვიყავი. გარკვეული ძალები ამას ითხოვენ, —მე ხომ თვალნათლივ ვხედავ. ისინი ხომ არ იმალებიან, არამედ გამოდიან. იგივე ალქსნისი, ან პეტრუშენკო აიღეთ. არიან სხვა ძალებიც, რომლებიც მოითხოვენ ჩემს გადადგომას. მათი მტკიცებით, თითქოს მე დავშალე შინაგან საქმეთა სამინისტრო. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამდაგვარ განცხადებას. სამინისტრო კი არა, კავშირი ინგრევა. მაშინ, როცა რომელიმე რესპუბლიკა იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც დღეს მოქმედ კონსტიტუციას არ შეესატყვისება, ჩვენი სამინისტროს სისტემა, გამოდის, უროსა და გრდემლს შორის ექცევა. მიუხედავად ასეთი სიტუაციებისა, მე აბსოლუტური სიზუსტით შემიძლია მივანიშნო, რომ სამინისტროს მართვის სადავეები ხელიდან არ გაუშვია...

... თუ საუბარია დანაშაულობებზე, მე ასე ვიტყოდი... როცა მე მინისტრები მეკითხებოდნენ: „როგორაა დანაშაულობათა საქმე, შემცირდება თუ არა?“ მე ვპასუხობდი: არა! დანაშაული კვლავაც გაიზრდება, რამეთუ იგი ობიექტური პროცესია. და ასეთი პროცესები ვერ გადაწყდება სუბიექტური, ძალდატანებითი მეთოდებით. მომიტევეთ, და ასეთ პირობებში, ეკონომიკის, პოლიტიკის, ეროვნებათშორისო ურთიერთობების, ზნეობის რღვევის პირობებში სასაცილოც კია დანაშაულობათა რიცხვმა კლება იწყოს. ეს, სხვათაშორის, ობიექტური პროცესია და ისიც მსოფლიო მასშტაბით. ასეთ დროს დარღვევები ჩვეულებრივ იზრდება. ყოველივე ეს უნდა კარგად გავიცნობიეროთ, რომ გამოვიმუშაოთ ადეკვატური ზომები. ამას კი ორი რამ სჭირდება: დრო და ფული. დრო ჩვენ არა გვაქვს. და სამწუხაროდ, არც ფული.

...ამ თემის ექსპლოატაცია არ ეგების. დამნაშავეობასთან ბრძოლა არ შეიძლება მეორე, ან მესამე ადგილზე დაიყვანო. არსებობს გაცილებით უფრო სერიოზული თემები: ერთერთი პირველი ეკონომიკაა, რომელსაც ჩვენ მანამ ვერ ვუზამთ ძვრას, სანამ საბოლოოდ არ განვსაზღვრავთ კავშირის მნიშვნელობას. ჩვენ ვამბობთ, რომ მივდივართ კონსტიტუციისაკენ. ახლა დავაკვირდეთ, ვინ ითვლება ჩვენთან კონსტიტუციის დაცვის გარანტიად? პრეზიდენტი. მაგრამ საკითხავია, რატომ არ ითვლებიან ამის გარანტიად იმ რესპუბლიკის პრეზიდენტები, რომლებიც სუვერენულ სახელმწიფოებად მიიჩნევენ თავს? ისინიც ხომ მოვალენი არიან დაიცვან საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია. ეს უკანასკნელნი კი, უხეშად რომ ვთქვათ, კონსტიტუციის იგნორირებას ეწევიან. აი, აქედან იწყება რღვევა. ჩვენი კონსტიტუცია საშინლად მოძველდა. სრული სიმართლეა ისიც, რომ კავშირი, რომელსაც ყველანი ვაგინებთ და რომელიც ძალას ეყრდნობა, უკვე აღარ წარმოადგენს კავშირს. იგი ნებაყოფლობით პრინციპზე უნდა იყოს აგებული. სიმართლეა ისიც, რომ კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს მხოლოდ კონსტიტუციური გზით... ჩვენთან კი რა სურათი გვაქვს: ვთვლით, რომ არ შეიძლება არაკანონიერი მეთოდებით ბრძოლა. სინამდვილეში კი ხელისუფლების თვითნებობიდან გადადგომამდე განუკითხაობაზე. არ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევა. ფუნდამენტის დაშლას მოყვება სხვა უბედურებანი. რა აზრი აქვს მოქალაქეს მოთხოვოს სისხლის სამართლის კოდექსის დაცვა, თუ დეპუტატი არღვევს კონსტიტუციას, ძირითად კანონს. დიახ, მორალური საფუძვლები იშლება... იქნებ, ამით დავამთავროთ...

გაზეთი „კომერსანტი“— №50, 1990 წ.

აკ. ყუფუნიას ფოტოეტიუდი.



იაფად, სულ რაღაც მანეთნახევრად შეგიძლიათ ზუგდიდის, დარჩელის, ინგირის, ნარაზენისა და რუხის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე საგაზეთო ჯიხურებში შეიძინოთ 1991 წლის კედლის ცალგვერდა კალენდარი რომელიც სხვა ბევრად ძვირადღირებული კალენდრებისაგან იმითაც არის გამორჩეული, რომ აქ შეგიძლიათ წაიკითხოთ ზუგდიდის მოკლე ისტორია. კალენდარს ამშვენებს ძველი ზუგდიდის ოთხი უიშვიათესი სურათი, შესრულებული მე-17-მე-19 საუკუნეთა მხატვრების მიერ.

კალენდარი, რომელიც სამ ფერშია ლაზათიანად დასტამბული, გამოსცა საგამომცემლო ფირმა „ორნატი“.

იჩქარეთ, თორემ კალენდარი სულ 5000 ცალადაა დაბეჭდილი.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲢᲐ

რაც უფრო ტურფა არის მამული...

თამაზ ახალაია ჩვენი თანამემამულეა. იგი იმ ახალგაზრდების რიგს ეკუთვნის, რომლებმაც საკუთარი მონდომებით, გარჯით გაიკვალეს გზა ცხოვრებაში. თავის დროზე არანაირი შრომა არ უთაკილია. სიბეჯითით, ყოფით წინაალმდეგობათა ძლევით გაიკაჟა სხეული, გაწვრთნა სული. სადაც არ უმუშავნია, ყველგან და ყოველთვის წიგნი იყო მისი განუყოფელი თანამგზავრი. სწორედ მან და ცხოვრებაზე დაკვირვების ალღომ მოამწიფა მასში პოეტი, მიაგნებინა მოვლენათა ხედვის საკუთარი კუთხისთვის, საოცრად მისეული ხელწერისათვის.

დღეს ჩვენი მეგობარი აფხაზეთში მუშაობს. არაერთი პოეტური კრებულის ავტორი გახლავთ. ამასწინათ გამომცემლობა „ალაშარამ“ გამოუშვა მისი ახალი წიგნი —„ყვავილი თოვლში“, რასაც მკითხველი ინტერესით შეხვდა.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია ბოლო წლებში დაწერილი ლექსები. როგორც თოვლში ამოსული ყვავილი თავს აღწევს „ტყვეობას“ და იმედით შეჰყურებს მზეს, ისე ადამიანმა ნებისყოფისა და ამტანობის წყალობით უნდა გაუძლოს ყოველგვარ განსაცდელს,— ასეთია წიგნის დედააზრი.

„დრო ბობოქარი ჯერ არ გამქრალა, თბილისს აწუხებს აპრილის სევდა... ნარიყალაზე, ვით მზე ცხრათვალა, დგას და კვლავ გვიცავს ქართველი დედა“, —წერს ერთერთ ლექსში თ. ახალაია. და მთელი მისი ეს პატარა წიგნი ამ იმედიანი განწყობილებითაა გამთბარი.

ვულოცავთ ავტორს აღნიშნული კრებულის გამოცემას და ვუსურვებთ მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

ჯ. თელია.

ᲠᲔᲖᲘᲪᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

შესაბამისად საქართველოს ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების წესდებისა, ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გაერთიანებული ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად ამა წლის 19 თებერვალს, დღის 12 საათზე დანიშნულია დამფუძნებელი შეკრება, რომელიც ჩატარდება ყოფილი საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში.

შეკრებაზე სავალდებულოა გამოცხადდნენ ქალაქისა და რაიონის ვეტერანი და თადარიგის ოფიცრები.

ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

ს. ბ. კაკულია

წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო კომბინატის კოლექტივს მოულოდნელად გამოაკლდა ნიჭიერი ინჟინერ-მშენებელი სოსო ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ.

იგი დაიბადა 1949 წელს ქ. ზუგდიდში. დაამთავრა №2 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. იმავე წელს ჩაირიცხა ყარაგანდის საინჟინრო ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ინჟინრის ასპარეზი—ზუგდიდის სპეციალიზირებული სამშენებლო სამმართველოა. წლების განმავლობაში მუშაობდა სამმართველოს ამბროლაურისა და საჩხერის სამშენებლო უბნების უფროსად, სამშენებლო სამმართველოს უფროს ინჟინრად.

წავიდა ჩვენგან ყოველმხრივ ერუდირებული პიროვნება, ჭადრაკის ტრფიალი, შეჯიბრებებში არა ერთხელ გამარჯვებული, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. ზუგდიდის საჭადრაკო კლუბის გახსნაში.

წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო კომბინატის კოლექტივი ღრმა მწუხარებით ეთხოვება სოსო კაკულიას, შესანიშნავ პიროვნებასა და მოქალაქეს, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს კოლეგების, ამხანაგების, მეგობრების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხოდნია.

მეუღლე ქეთო, შვილები: კესო. დიტო. გედევანი. შვილიშვილები: კოკა. კახა. ლეილა. ჯაბა ქირიები. გოგიტა. ლია. ბაკური ბაბუნაშვილები. სიდედრი ლუშა. რძლები: თამრიკო. დოდო. ელიკო. ნუნუ. ლამზირა. ლილიკო. დოდო. ლიანა. სიძე ოლეგი ბაბუნაშვილი. ბიძაშვილები: მილია. ნელი. კლარა. ინდიკო ქირიები. ვალენტინა. მარგო. რევაზი. ჯანიკო ზარქუები. ცოლისდები: მოქო. მარგო. ცოლისძმა გიგი ქარჩავა, მამიდაშვილები: ალინა. პალიკო უბილავები. დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

გედევან რაუდენის ძე ქირიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19. 20 თებერვალს. დაკრძალვა 21 თებერვალს ს. ოქტომბერში.

ქ. ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ექიმ ქეთინო შამუგიას მეუღლის

სოსო ბესარიონის ძე კაკულიას

გარდაცვალების გამო.

უნივერმაღ №1-ის მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ლუბა კაკულიას შვილის

სოსო ბესარიონის ძე კაკულიას

გარდაცვალების გამო.

წალენჯიხის სატყეო სამრეწველო კომბინატის სამშენებლო უბნის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება.

სოსო ბესარიონის ძე კაკულიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-22 69 პასუხისმგებელი მდივნის 2-81-96, ხოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

ᲮᲐᲭ. ᲑᲔᲭᲓᲡᲐᲑᲭᲝᲛᲘᲡ ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘᲡ ᲮᲢᲝᲛᲑᲐ, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 8000 შეკ. №376